სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
58221631218313

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130394432

რეგისტრაციის თარიღი

23.04.2013 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილის ჟ. შარტავას ქ 7
ტელეფონი: 378324

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შარტავას ქ.№7-ში მომმართა მოქალაქე **ნანული წიკლაურმა.** მან განაცხადა, რომ სურს მოქ. **ჯონი საჯაიასთვის** გარკვეული უფლებამოსილების მინიჭება და შესაბამისი მინდობილობის შედგენა, აგრეთვე მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად **ნანული წიკლაურმა** მომმართა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე წავუკითხე მინდობილობის შინაარსი. მან განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მე **ნანული წიკლაურმა (დაბ.07.01.1958წ., მცხ.ქ.თბილისში, მისამართის გარეშე, პ/მ №01002002398, №a1365428 გაცემული სრს ნაძალადევის სამსახურის მიერ 20.04.2010წ.)** „შემდგომში-მარწმუნებელი“ **ჯონი საჯაიას (დაბ.03.11.1974წ., მცხ.ქ.თბილისში, ჯავახეთის ქ.№9, ბ.1, პირადი №29001010539 გაცემული სრს ისანი-სამგორის სამსახურის მიერ 11.11.2010წ.)** „შემდგომში-რწმუნებული“
მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:
„რწმუნებული“ უფლებამოსილია, იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო, საზოგადოებრივ, კომერციულ, ადმინისტრაციულ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) ურთიერთობაში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, მათ შორის ქ.თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალებასთან.

მინდობილობა გაცემულია 1 წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა ჩემი თხოვნით შეადგინა ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, რომელმაც წამიკითხა და განმიმარტა მისი შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქეთევან ოდილავაძესთან, ორი გადაეცა მხარეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების **31-ე, მუხლისა** და დღგ. 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის №169-ე მუხლის პირველი ნაწილისა, აგრეთვე გადახდილია ელეტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი ნანული წიკლაური

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე

საქართველო ნოტარიუსი ქეთევან ოდილავაძე GEORGIA NOTARY KETEVAN ODILAVADZE 01009003611